


სალიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 37 აგვისტო 31 1897 წ. № 37

შინაარსი: ხალხში წიგნების გავრცელების გამო ვ. გ—ლისა.—ჭიათურის ქვა-გუნდის ძველი და ახლანდელი მდგომარეობა და მადნების გაუფთხილებლობა ი. პ. კაკაბაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—*** ლექსი დ—ისა.—ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობიდან ე—კოსი.—ხან-და-ხან (ცხრა მთას იქით მოგზაურობა) ჭალარასი.—თუშური სიმღერები.—ძვირფასი ბორკილი (შირვანზადესი) თარ. დ. ცერდავითიანცისა.—ბ-ნ. „მგზავრის“ კორესპონდენციის გამო ს. კალანდაძისა.—წერილი რედაქციის მიმართ და განცხადება.

## ხალხში წიგნების გავრცელების გამო.

ქართველებს, სხვათა შორის, ერთი გლახა ზნეცა გვჭირს: ყოველგვარ საქმეს, ყოველ კითხვას, მარტო ერთი რომელიმე მხრით შევხედავთ ხოლმე და ჩვენ თავს ძალას არ ვატანთ, სხვა მხარეებიც მოვუუნახოთ და ავწონ-გავზომოთ. შეიძლება, ეს გარემოებაც იყოს ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ ერთ და იმავე საგნის შესახებ ჩვენ შორის ხშირათ ახირებული კამათი და აზრის სხვა-და-სხვაობა ატყდება ხოლმე. აი წელს ვინც კი ენა დაძრა ხალხში წიგნების გავრცელების შესახებ, ყველა ერთმანეთს ეთანხმება, საქმე ცუდათ მიდისო. შეუძლებელიც არის არ დაეთანხმონ, რადგანაც ამას ყველა ხედავს. რაც შეეხება მიზეზს, აქ კი ერთი ბიბლიოგრაფიისა და კრიტიკის უქონლობას ასახელებს, მეორე გამომცემლებს, საქმის მოთავეებს, სოფლებში მყოფ შეგნებულ პირებს და სხვ. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხალხში წიგნების გავრცელებას ხელს უშლის, სიღარიბე, წერა-კითხვის უცოდინარობა და მასთან სახალხო წიგნების უქონლობაც არის. ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაში ყოველი ახლათ გამოსული წიგნის ბიბლიოგრაფია და კრიტიკაც რომ იბეჭდებოდეს, სოფლებში წიგნების გავრცელების საქმეს მაინც შესამჩნევათ წინ ვერ წასწევს, რადგანაც, შუათანა რიცხვით ჩვენში სამ სოფელზე ერთი ქართული გაზეთი ან ჟურნალი თუ მოდის, ისიც საეჭვოა: ამაში თვით ჩვენი რედაქციებიც დამეთანხმებიან. იმასაც მხოლოთ გამომწერი კითხულობს, სხვა არავინ. ჩვენი გლეხობა სიღარიბით ისე შევიწროებულია, რომ ხშირათ ნახავთ ოჯახს, რომელსაც ორი-სამი შაურის მოხერხება არა აქვს. ჯერ ფულიც რომ ჰქონდეს, მაშინაც წიგნის საყიდლათ ვერ გამოამეტებენ, რადგანაც მისი საჭიროება, მნიშვნელობა და გემო ჯერ გაცნობილი არა აქვს; რომ ჰქონდეს კიდეც, სიღარიბე დღეს ნებას არ მისცემს, წიგნები იყიდოს. ვთქვათ, შევამჩნიეთ იმდენათ, რომ წიგნების ყიდვა მოინდომა; ერთი მიბრძანეთ, რათ უნდა, რომ შეიძინოს კიდეც, ან რა სარგებლობას გამოიტანს იქიდან, როდესაც კითხვა არ იცის? ყოველ საქმეს ჩვენ ან ბოლოდან დავიწყებთ ხოლმე, ან კიდევ დაწყებაც და გათავებაც ერთბაშათ გვინდა. ჩვენი ამგვარი მოქმედება მაგონებს უგუნურ დედას,

რომელმაც პატარა ვაჟიშვილს ყბებზე წამლები შემოადვა, წვერები მალე ამოუვა და დავაჭკაცდებაო. წამალმა ისე მოულპო ხორცი, რომ უდროოთ კი არა, როცა ბუნებისაგან დანიშნული დრო იყო, წვერები მაშინაც აღარ ამოსვლია. სანამ ხალხში წერა-კითხვა არ გავრცელდება, სახალხო წიგნები ყოველ დღეც რომ გამოვცეთ და სოფლებში ტყუილა დავარიგოთ, მაინც არა გამოვა. ხომ დავრწმუნდით, რომ ყოველ სოფელში ორ-ორ კლასიანი სასწავლებლის გახსნა არ შეგვიძლია, დიდის მდევარი აღარც პატარას უნდა დავჯერდეთ? ჩვენ სოფლებში აქა-იქა არიან ისეთი პირები, რომლებსაც სამი თუ ოთხი კლასი გაუთავებიათ; მაგრამ თვითონ შეძლება არა აქვსთ, სასწავლებელი ააშენონ და ხალხს წერა-კითხვა ასწავლონ. იმდენს რომ ვიხეირებდეთ, რვაოდე თუმანს ყოველ წლივ გავუჩენდეთ როგორმე, ყმაწვილების სწავლებას დიდის სიამოვნებით მოჰკიდებენ ხელს. დავეხმაროთ ამისთანა პირებს, ხარჯიც ნაკლები დაგვჭირდება და საქმეც რიგიანათ წავა. ყველა იმას ჩაგვჩიჩინებს: ქართველებო, თქვენი დღე დათვლილიაო, და ჩვენ კი მარტო ტუჩებს ვაცმაცუნებთ იმის გამოსახატავათ, არა არარის დათვლილიო და ხმასაც კი არ ვიღებთ. რომ სიცოცხლის ნიშანი კიდევ გვეტყობოდეს, აბა კარგათ ჩაუკვირდით ჩვენ ცხოვრებას და დაეკითხეთ მერე თქვენ თავს, თუ ამ გზით ვიარეთ დიდხანს ვიცოცხლებთ კიდევ თქო, და მგონია, სანუგეშო პასუხი ვერ მიიღოთ. რა იმედი უნდა ჰქონდეს ადამიანს იმ ხალხისა, რომლის ეროვნული სახის წასაშლელათ მარტო ერთი კაცია საკმარისი?! საქართველოს მთელი სიმდიდრე თავად-აზნაურობის ხელში იყო, აზნაურობა ახლა ისე გაღარიბდა, რომ ქონებრივათ ბევრს ვეღარას დაგვეხმარება; თავადობას კიდევ აქვს იმდენი შეძლება, რომ თითო ოროლა მანეთი გამოიღონ, თუნდა ქაღალდში წაუკიათ, და ამ ფულით ბევრგან შევიძლებთ, დახმარება აღმოუჩინოთ იმ პირებს, რომლებიც იკისრებენ ხალხს წერა-კითხვა ასწავლონ, ცოტას ხალხიც დაგვეხმარება; თუმცა უსაშუალოა, მაგრამ სულ სამადლოთ არც ის გაგვიზრდევიებს თავის შვილებს. სხვესა ვტყუებთ ფულებს, ვითომ საქველმოქმედო მიზნით, და ვჭამთ, თორემ ჩვენი საკუთარი ჯიბიდან რას ამოვიღებთ? სიტყვით ღმერთმა კარგი მოგვცესთ, კარგი ჩვენ ვიყოთ, საქმით კი არც ერთი არ ვარგივართ: არც თავადი, არც აზნაური, არც განათლებული, არც გაუნათლებელი. ახლა წერა-კითხვის საზოგადოებას ქუთაისში დაუარსებია პატარა წრე, იმ მიზნით, რომ ხალხში წიგნთსაცავები გააჩინოს. ამ წრეს უნდა ამოუდგეს გვერდში მეორე საზოგადოება იმ მიზნით, რომ სოფლებში წერა-კითხვის სწავლებას ხელი შეუწყოს. არც ისე უსაშუალო ვართ, რომ ფული ვერსად ვიშოვოთ; საქმე სურვილი და ხალისია, თორემ სხვები თუ გახვრეტილი ჯიბით საქმეს იწყებენ და აგვირგვინებენ რიგიანათ, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება, ცოტა სიცოცხლის ნიშან წყალი მაინც ვერ დავატყოთ ჩვენ ცხოვრებას.

ზემოხსენებული წრის დაარსება დიდათ სასიხარულოა, რადგანაც ხალხში წერა-კითხვის სწავლისა და წიგნების კითხვის სურვილი გაძლიერდება, სარგებლობას კი ღმერთს წინაშე, ჯერ ბევრს ვერ მოგვიტანს, სანამ სასწავლებლები და წერა-კითხვის მცოდნენი არ გაგვიმრავლდება. წრის წევრებს ერთი შეცდომა მოსვლიათ: ბევრი ისეთი წიგნი გამოუგზავნიათ სოფლებში, რომლებიც ხალხისათვის შეუფერებელია, ბევრი უფრო სასარგებლო წიგნი კი გამოუტოვებიათ. არ გამოუგზავნიათ აგრეთვე „ჯეჯილი“, არ ვიცი, რა მიზეზისა გამო. ჯეჯილის წინა წლების ნომრების სიკარგეს ხომ არავინ არ უარყოფს და ძველი ნომრები რატომ მაინც აღარ გამოგზავნეს, თუ ახლებს უწყრებიან? ვინც სოფელშია, ყველა დამემოწმება, რომ ჯეჯილს მარტო სოფლის ბავშვები კი არა, დიდებიც დიდის სიამოვნებით კითხულობენ. ეს ჩვენი ერთად ერთი საბავშვო ჟურნალი იმავე დროს სახალხოც არის სწორეთ. თვით წრის წევრები დამეთანხმებიან, რომ იმათ გამოგზავნილ წიგნებში ხალხისათვის ბევრს ჯეჯილი ჯობია... ნეტავი როდის მივაღწევთ იმ ზნეობრივ სიმაღლემდე, რომ საზოგადო საქმეში პირადი ინტერესები არ გავურიოთ ხოლმე.

ვ. გ—ლი.

## ჭიათურის ქვაგუნდის ძველი და ახლანდელი მდგომარეობა და მადნების გაუფრთხილებლობა.

1885 წლიდან მოკიდებული 1894-დის ქვაგუნდის წარმოება ახლანდელ წარმოებას რომ შევადაროთ სულ სხვა სურათი დაგვეხატება თვალ-წინ, 1885 წლიდან 1894-მდის ე. ი. ცხრა წლის განმავლობაში დ. ყვირილის სადგურამდის წასაღებათ სულ სხვა მორთული ჩარხი წარმოებისა ტრიალებდა, გაჩნდებოდა თუ არა ევროპიელი ფულიანი მოვაჭრე ქვა-გუნდისა, ადგილობრივი მწარმოებელი, ვისაც კი მოხერხება ჰქონდა, უსათუოთ დაბა ყვირილამდის გაურიგდებოდა ქვა-გუნდის ჩაბარებას. ყვირილას იქით ე. ი. ფოთამდის ძნელათ თუ რომელიმე მწარმოებელთაგანი გაჰყვებოდა, საზღვარ გარეთ ორის მეტი

არ იყო გასული ჩვენებური მწარმოებელი; ევროპიელ კაპიტალისტსაც დაბა ყვირილას აქეთ ე. ი. ჭიათურამდის, საქმის დაწყება საშიშრათ მიაჩნდა და რომ კიდეც დაეწყო ქვა-გუნდის წარმოება, მაინც ზარალის მეტს ვერას ნახავდა, რადგანაც ურმებით უნდა გადაეზიდა და მეურმებთან თუ არ ადგილობრივი მწარმოებელი, გარეშე ქვეყნის კაპიტალისტი ვერას გააწყობდა. ამ შემთხვევაში ევროპიელი კაპიტალისტი დარწმუნებული იყო, რომ გარიგებულ ქვა-გუნდის რაოდენობას უსათუოთ ჩაიბარებდა აქაური მწარმოებელისაგან. ამისათვის ევროპიელი კაპიტალისტიც თავს არ იშურებდა წინ-და-წინ ბეთ ათი ათასობით დ ოცი ათასობით მიეცა უპროცენტოთ; როდესაც ქვა-გუნდის ჩაბარებას დაიწყებდა ადგილობრივი მწარმოებელი, რამდენიმე % (პროცენტი) მიღებული ფულიდან ერიცხებოდა. იმ დროს ვისაც კი შეეძლო ქვა-გუნდის წარმოება ხშირათ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ხუთი ათასიდან ოცი ათას მანეთამდის მოეგოს წელიწადში. ამასთანავე შორაპნის მაზრაში იმისთანა ოჯახი არ მოიძებნებოდა, საცა უბრალო მეურმეს ორასი მანეთი მაინც არ ეშოვნოს ყოველ წელს ისე, რომ თავის საკუთარ ოჯახის საქმესაც არ მოჰკლებოდეს. დღეს ესე ყოველი წარსული რომ შევადაროთ ახლანდელ წარმოებას ძრიელ სამწუხაროთ დაგვრჩება ამისთანა სიმდიდრის ასეთი დაქვეითება. ამგვარი დღევანდელი წარმოება შეჰქმნა, შორაპნიდან ჭიათურამდის რკინის გზის გაყვანამ. სანამ რკინის გზა არ იყო გაყვანილი ჭიათურამდის მანამ ევროპიელები და კერძოთ ბერძნები ვერ ბედავდენ საქმის დაწყებას თვით ჭიათურაში. რკინის გზის გაკეთებას შემდეგ კი, სხვაფრივ შეიცვალა; ვისაც ათასი მანეთი გაიჩნდა, ყველამ დაიწყო შავი ქვის წარმოება ჭიათურაში. დაავგროვეს ქვა-გუნდა ჭიათურის რკინის გზის საწყობზე. მართველობაც რკინის გზისა ვალდებულია, ვისაც კი საქონელი უწყვია, ყველას გადუტანოს განურჩევლათ. ვისაც, ბერძნებთაგანს, ცოტა რამ გაიჩნდა, დაიწყეს საზღვარგარეთ ქვის გაყიდვა და რომ მათ ქვა-გუნდის მყიდველი ეშოვნათ, შეექნათ ცილობა ძველ მწარმოებლებთან საზღვარ გარეთ; ამისათვის ფას ნაკლებ დაუწყეს ქვას გაყიდვა, რომ ბეც წინ-და-წინ აეღოთ ევროპიელი კაპიტალისტისაგან. მყიდველიც ხომ იმის მეცადინეა, სადაც იაფ ფასათ იშოვნის საქონელს, იქ იყიდოს. 1894 წელს იყო ფასები შავი ქვისა საზღვარ გარეთ ფუთი $13^1/_2$ პენსი, (პენსი უდრის აქაურ ფულს $3^1/_4$ კ.). ამ ფასებიდან ისე დასწიეს ფასები საზღვარ გარეთ ერთი მეორესთან ცილობით ბერძნებმა, თუ ამხანაგობის წარმომადგენელმა, რომ დღეს $9^1/_4$ პენსათაც გასაჭირია შავი ქვის გაყიდვა, რაიცა შეიცავს ჭიათურაში სამ კაპეიკ ნახევარს, მასთან თუ ცეცხლის გემის ფრახტიც დაწეულია. მაშ როგორ წარმოებენ, თუ ამის მეტი ფასები არ მოუდისო? უმეტესი ნაწილი მწარმოებელთაგანი მოტყუებით აწარმოებს საქმეს, მაგალითათ როგორც ბერძნებია; ბერძნები ჰპირდებიან ადგილობრივ მწარმოებლებს: ქვა მოგვიტანეთ და რაც ბანკიდან ფული გამოგვაქვს, იმას მიიღებთ, ე. ი. ოთხ კაპეიკს ფუთზე და დანარჩენ კაპეიკს (რადგანც ქვის ფასი დღეს შაური გახლავთ ფუთი) ერთ კვირას შემდეგო, მაგრამ ამ გვარი დაპირება არ ახალია ძველია. ასე ამ გვარათ ატყუილებენ საწყალ ხალხს, გადის რამდენიმე კვირა, თვეები, ფული არსად არის. როცა უკიდურესი მდგომარეობა ადგება ჭიათურის მწარმოებელს, ის მიდის ფოთს, თუ ბათუმს ფულის ასაღებათ და, თუ სამადლოთ სახარჯო გადმოუგდეს, ძრიელ მადლობელიც უნდა დარჩეს. რჩება ამ რიგათ ადგილობრივი მწარმოებელი პირ ში ჩალა გამოვლებული. რომ ვიანგარიშოთ ქვის ფასი, დღეს ჭიათურაში უნდა იყოს ვითომც ფუთში ერთი შაური, მაგრამ არა, ქვა გუნდის ფასი დღეს ჭიათურაში ოთხი კაპეიკია, ვინაიდგან წვრილი მწარმოებლებიდან, ბერძნებია თუ სხვები, ღებულობენ ტარას, წმინდა შავ-ქვაზე, ათ ფუთზე ორ ფუთ ნახევარს, რაიცა საწყალ მუშა-ხალხის ზურგიდან არის ანაგლეჯი. ბატონებო! ამგვარათ ცარცვა-გლეჯა, როგორც დღეს ჭიათურაში არსებობს შავ-ქვაზე, უპატიოსნებაა. დაარქვით ნაკლები ფასი ჩამოტანაში თუ ყიდვაში დ წონა ქვისა კი სწორი მიეცით ყველამ. რომ არ იქნეს ამგვარი მოტყუილება, როგორც დღეს არის, ჩემის აზრით საჭიროც არის მიაქციოს ყურადღება ვისიც ჯერ არს, ამ გვარ ბოროტ მოქმედებას. თქვენ რომ საზღვარგარეთ ერთი მეორესთან ცილობა გქონდესთ და კარგ ფასში ვერ ყიდდეთ შავ-ქვას, წვრილი მწარმოებელისა რა ბრალია, რომ ჩამოტანილ და ჩაბარებულ შავ ქვაში ნახევარს არ აძლევს? ჭიათურაში შავი ქვის წარმოება დღეს იმ-სთავებმა დაიწყეს ვისაც გაჩნდა ხუთი თუმანი, ყველამ მიჰყო ვაჭრობას ხელი, საიდანაც ქვა ბლომათ დაამზადეს და ჰყიდიან იაფ ფასებში. მასთან მეტათ ცუდი წარმოებაა მაღნებში, თუმცა არიან მთავრობიდან დაყენებული შტეიგერები, მაგრამ ესენი თავის წესს ვერ იცავენ დ ყურადღებაც ნაკლებათ არის ამათგან მიქცეული მაღნის მუშაობაზე. ახლანდელი მუშაობით, ათ წელს შემდეგ აღარსად მუშაობა აღარ მოხერხდება. ამ საგანზე უკვე იყო, თუთხმეტ მაისს ქ. ქუთაისს, ამავე წელს, კრების დროს შავი ქვის მწარმოებლებს-შორის კითხვა აღძრული, რა გვარათ შეიძლება, მაღნების მუშაობის საქმე გაუმჯობესდესო. ჩვენ ვთქვით, პოლიცი-

ასთან და შტეიგერებთან იქნეს ერთათ ამორჩეული შავი ქვის მემამულეთაგანი—ვისაც უფრო გული შესტკივა—სამი კაცი, ეს კითხვა გადიდეა მომავალ წლამდის შესამუშავებელათ, თუ რაგვარი წესიერება უნდა შემოიღონ ამ ამორჩეულმა კაცებმა. აგრეთვე იყო მეორე კითხვა წამოყენებული: ჭიათურიდან შორაპნამდის რკინის გზის ქირის დაკლებისა. მაგრამ ამ გარემოებას თან უნდა მოჰყვეს თვით მადნის მეპატრონეების და მწარმოებლების მხრით ყრთი პირის შეკვრა, ერთი ფირმის დაარსება და ფასების დამტკიცება. უამისოთ ფრახტის დაკლება ევროპიელ მექარხნეებს შეძენს და ჩვენ არაფერს. ამ ერთი სახლის, ერთი ფირმის დაარსებისათვის, რომ სინდიკატი შედგეს, ამოვირჩიეთ უკვე კრების დროს თორმეტი კაცი კამისიათ, რომლებმაც უნდა შეიმუშავონ წესდება, რა გზით შეიძლება შედგეს სინდიკატი, მარტო ერთმა სავაჭრო სახლმა გაჰყიდოს საზღვარ-გარეთ შავი-ქვა. თუ რომ ამორჩეული პირნი მარტო ცარიელი სიტყვით არ აღიარებენ სურვილს, დროც ახლაა; ერთათ ერთი საშუალებაა, რომ შავი-ქვის მემამულეებიდან შედგეს ამხანაგობა; თვარა უამისოთ ჩვენს სურვილს ვერ მივაღწევთ. გამოცდილებამ აი, რა დაგვანახვა: შედგა, ოთხვარი ამხანაგობა, უმეტესი ნაწილი უმამულო ხალხიდან, მაგრამ რაც არ წაახდინეს, ვერაფერი გააკეთეს და ამისათვის საჭიროა ამხანაგობის შედგენაზე მემამულეს მიექცეს ყურადღება და არა დროებით ქვის გამგზავნელს საზღვარ გარეთ. აგრეთვე იყო კრებაში მესამე კითხვაც წამოყენებული: ფული მცირე სარგებლით როგორ ვიშოვნოთო; იმ დროს დაესწრნენ ბანკების წარმომადგენელნი; ყველამ აღუთქვა კრებას მცირე სარგებლით ფულის მიცემა. თუ ქვა-გუნდას მწარმოებლები კარგ საფუძველზე შეადგენენ ამხანაგობას და ერთი სავაჭრო სახლიდან გაიყიდება ქვა-გუნდა, მაშინ ამხანაგობას პირ-და-პირ შეუძლია საზღვარ-გარეთ მექარხნეებთან ხელშეკრულობა იქონიოს და ფული უპრაცენტოთ მიიღოს. თუ მთელ ჭიათურის ოლქის ქვაგუნდის მეპატრონეები და მწარმოებლები შეადგენენ ამხანაგობას, მაშინ შესაძლებელია რკინის გზის ფრახტის დაკლებაც, ფასების აწევაც და კარგი წარმოების ისევ აღდგენაც; უამისოთ ჭიათურის ქვა-გუნდის წარმოების საქმე ხელიდან წასულია, დღეს თუ ხვალ ის უეჭველათ ჩაუვარდება ხელში დიდ ფულიან კაცებს.

ილია პ. კაკაბაძე.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ამ მომავალ ენკენისთვიდან გაიხსნება ქალების საკვირაო სკოლა მთაწმინდის სამრეკლო სკოლის შენობაში. ამ სკოლაში ასწავლიან ქრაკერვას და სხვა ხელსაქმეს. იმედია ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას და ყოველ-გვარ დახმარებას აღმოუჩენს.

***

როგორც გაზეთები გვაუწყებენ: მიმდინარე წელს თბილისის სახელოსნო სკოლაში გაიხსნა საკვირაო ტეხნიკური კურსები. ამ კურსებზე ჩაეწერა აურაცხელი მუშა ხალხი. ეს მუშა ხალხი თითქმის ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი, ქართველები და სხვები იყვნენ, სწავლა კი სწარმოებდა მხოლოდ რუსულ ენაზე ამ გარემოებამ შეუშალა ხელი როგორც მასწავლებლებს აგრეთვე უმეტესათ შეგირდებს, რომელთაც ძრიელ უჭირდათ რუსულ ენაზე შეთვისება რაიმე ცოდნისა. ამ გარემოებისთვის მიუქცევია ყურადღება სკოლის დირექტორს, ბ. დანილოვს, და უთხოვნია სამოსწავლო ოლქის უფროსისთვის, რომ ნება მისცენ გაიხსნას სპეციალური განყოფილება ადგილობრივ მცხოვრებთათვის სადაც სწავლება დედაენაზე იქნება.

***

გურიაში, როგორც სამეურნეო გაზეთი გვაუწყებს, ბევრ სოფლებში აღმოუჩენიათ ფილოქსერა. ფილოქსერა გასჩენია როგორც მაღლარს, აგრეთვე იზაბელასაც. იმავე გაზეთის სიტყვით, სიმინდის ფასის დაცემამ გამოიწვია გურიაში მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგის განვითარება, ასე რომ ბევრ სოფლებში გაუშენებიათ შვენიერი ბაღები საუკეთესო ხეხილებისა.

***

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდვია ათი ათასი მანეთი იმათ დასახმარებლათ, ვისაც ამიერ კავკასიაში ჭირიან საქონელს დაუხოცვენ.

***

სამეგრელოს სამღვდელოების კრება დაიწყო 22 მარიამობისთვეს ახალ-სენაკში. ერთ უმთავრეს საგნათ კრებას მიაჩნია ახალ-სენაკის სასწავლებლის გადატანა ფოთში. სწორეთ გასაკვირველია, როდესაც სამღვდელოებას ამოდენა საჭირ-ბოროტო საქმეები წინ უძევს და ბევრი საგნები აქვს გამოსარკვევი, რა

დროსია იმაზე დაუსრულებელი დავა, სად ჯობია სასწავლებელი ახალ-სენაკში თუ ფოთში.

* * *

როგორც „ივერია“ სწერს, ამიერ კავკასიის რკინის გზის ბორჯომ-ბაკურიანის შტოს გამოკვლევა უკვე დაუსრულებიათ და ახლა მიწის მუშაობას და შენობების აგებას შესდგომიან. მუშაობას განაგებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის პირველი ნაწილის უფროსი, ინჟენერი ლოხვიცკი, ხოლო ამ შტოს ყოველგვარ მუშაობის უფროსია რკინის გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი.

* * *

ამ წლის პირველ ოქტომბრიდან გაიცემა იჯარით ქუთაისის საგუბერნიო სტამბა და მართველობის გაზეთი: „ქუთაისის საგუბერნიო უწყება“.

* * *

უცხოეთის ფირმის ორ წარმომადგენელს მოლაპარაკება აქვს ქალაქის გამგეობასთან ტფილისის ელექტრონით განათების შესახებ.

* * *

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით მიმდინარე წელს თბილისის საბრეშუმო სადგურზე მოაწყობენ ამოსახვევ ჲ სართველ განყოფილებას. ამ განყოფილებაში იქნება, როგორც უბრალო ხელით სამუშაო იარაღები, აგრეთვე ორთქლ-მომქმედი მანქანები. რომ ეს საქმე გონივრულათ მოეწყოს, სადგურის მოხელე ბ. ივანოვი გაგზავნილ იქმნა საზღვარ-გარეთ, რომ იტალიაში და საფრანგეთში უფრო დაახლოვებით შეისწავლოს ეს საქმე. ეჭვი არ არის ამ ახალ განყოფილებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ იმის მოწყობა ცოტაოდნათ მაინც ჩვენ მოთხოვნილებას ეთანხმებოდეს. სხვა რომ არა იყოს რა, ვგონებთ, გასაჭირია უბრალო სოფლის მცხოვრებთ კაცმა რამე აუხსნას უცხო ენაზე, რომელიც მას არ ესმის. ამისთვის კარგი იქნება, რომ სადგურმა ყურადღება მიაქციოს და იყოლიოს იქ ჩვენი ენის მცოდნე მოხელენი.

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ სვანეთში, სადაც სწავლა-განათლება უგზოობისა და სიღარიბის-გამო ასე დაცემულია, აფუძნებენ საკვირაო სკოლებს დიდებისთვისა. სწორეთ საქებური საქმეა და ღმერთმა ქნას, რომ მის მოთავეთ ძალ-ღონე გაორკეცებოდეთ ამ მიყრუებულ კუთხის გასანათლებლათ.

* * *

ქალაქის გამგეობას დეპეშით აცნობეს რომ 7 სექტემბრისთვის ტფილისში ჩამოვლენ საგეოლოგიო საზოგადოების 230 წევრნი.

* * *

შორაპნის მაზრაში, საჩხერის ახლო მახლო სოფლებში გავრცელებული იყო საქონლის ავათმყოფობა თურქული, ახლა დუშეთის მაზრაშიაც გავრცელებულა, თითქმის არ არის ისეთი სოფელი რომ თურქულიანი საქონელი არ მოიძებნებოდეს. ბეითალი შ. დედაბრიშვილი გაიგზავნა, რომ ავათმყოფს საქონელს უწამლოს.

* * *

წამის-წამს მოდის ამბავი, იქ კაცი მოჰკლესო, აქ გაძარცვეს შუა-დღისასო. ამ საერთო შიშის დროს მოვიდა ამბავი რომ ქართლში ყაჩაღათ გავარდნილი ილიკო ფუხაშვილი ერთმა გლეხმა მოჰკლაო.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

საჩხერის მხრიდან. მგონი არც ერთი მხარე ისე მიყრუებული არ არის იმერეთში, (რასაკვირველია, ქართლ-კახეთს ამაში უპირატესობას ვერავინ წაართმევს) როგორც საჩხერის ახლო მახლო სოფლები, თუმცა ჭიათურის რკინის გზა ახლოს არის. ხალხი, არა თუ მწიგნობრობას არ ეწყობა, სანთლით რომ ეძებოთ ვერც ერთ ჟურნალ-გაზეთს ვერ ნახავთ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ სოფლებში მოსიარულეს თვალით არ მინახავს არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, მხოლოთ ერთხელ, მოვკარი თვალი „ცნობის ფურცლის“ ახალ ნომერს, რომელშიაც გაეხვიათ რაღაც რაღაცები. თითო წერილის გაგზავნა ჲ მიღება ერთი დიდი დარაბაა, პეტერბურღიდან უფრო უმალ მოდის თფილისში წერილი ვიდრე თფილისიდან საჩხერეში, თუმცა ჭიათურის რკინის გზა, როგორც ზემოთაც ვთქვით, 12 ვერსტის მანძილია საჩხერიდან. წერილის გასაგზავნათ კაცი თითონ უნდა მივიდეს საჩხერეს და მაშინაც ფოსტალიონზეა დამოკიდებული, თუ ქეიფზე არ არის არც კი გაგიგზავნის; ვერც ააწონინებ წერილს საჩხერეში და ვერც დაკვეთილს მიიღებ; უეჭველათ ამისთვის შენი ფეხით უნდა ჩახვიდე ჭიათურაში. ერთის სიტყვით თითქოს განგებ უსპობენ ადამიანს ღონის ძიებას, რომ ან თავისი ამბავი შეატყობინოს ხალხს და ან სხვისა გაიგოს. მოხელეები აქეთ მხარეს ისეთი გულ შემატკივარნი

არიან, რომ ხალხს გონებრივ გართობასაც კი უშლიან. სხვას რას უნდა მივაწეროთ რომ სოფლებში არ აძლევს წარმოდგენების ნებას უ. საჩხერის ბოქაული. სოფ. ჭალას ზოგიერთ პირებმა გამართეს ქართული წარმოდგენა; საზოგადოება სიხარულით მიეგება ამ დროს გატარებას, ბევრი მათგანი პირველათ ხედავდენ წარმოდგენას. ყველა დიდათ ნასიამოვნები დარჩა, მგონი ეს ერთი საღამო იყო, რომ ასე შეყრილი საზოგადოება ღვინოს არა სვამდა, მომავალი სკოლისთვისაც ცოტაოდენი ფული (23 მ.) შეგროვდა იქ დამსწრე საზოგადოებისაგან, მაგრამ დახეთ უბედურებას, თურმე ამ ნაირი დროს გატარება აკრძალული ყოფილა; ატყდა მისვლა-მოსვლა, საჩხერიდან მიწერ-მოწერა, უბრძანებდენ მამასახლისს: პროტოკოლი შეადგინე დ̃ დამნაშავენი წარმოადგინეო, რომ სუდში ვუჩივლოთო. არ ვიცი რა სასწაულით გადაურჩა ამ რისხვას ქ-ნი ანასტასია წერეთლისა, რომლის ხელმძღვანელობითაც გაიმართა წარმოდგენა სოფ. ჭალას.

როგორც ჩანს, მხოლოთ ღვინის სმა არ არის აქეთ მხარეს აღკრძალული. მართლაც, სადაც და როგორც კი მოასწრებენ სვამენ ღვინოს, მაგრამ ბედზე შარშან ცოტა ღვინო მოსულა და წელსაც ძალიან ნაკლებს მოელიან. შედეგი ამ ღვინის სმით დროს გატარებისა ყველას მოეხსენებათ: ჩხუბი, დაჭრა ერთმანეთისა და ხშირათ სიკვდილიც. 15 მარიამობისთვეს ს. გორისაში თემობაზე ცუდ-უბრალოთ გაფუჭდა ერთი ახალ-გაზდა გლეხი. ნასადილევს წყალზე მიდიოდა წყლის კოკით და რა ნახა, რომ მის სიმინდში ჯირითობდენ ნასვამი აზნაურ-შვილები აუტეხა ჩხუბი და შედეგი ის იყო, რომ საბრალო მის ცოლ-შვილს, წყლის მაგიერათ, მკვდარი კაცი მიაყენეს კარს. ამ ამბავმა ბევრი დააფიქრა და აალაპარაკა თემობის წინააღმდეგ.

რაც შეეხება სკოლებს, გარდა საჩხერისა, აქეთ მხარეს არსად არ არის, ზოგჯერ, როდესაც კაცი ხედავს ჩვენი სკოლების უკულმართ ნაყოფს, არც ძალიან შესაწუხრათ რჩება მისი უქონლობა. აქაური აზნაურ-შვილი დიდი გაჭირებით თუ გადაარჩენს ფულს რომ ვაჟიშვილი გამოზარდოს ან საჩხერეს და ან ქუთაისს. მაგრამ, როდესაც ეს გაჭირებით ნაშოვნი გროშები არ მოიტანს ნაყოფს, მაშინ სკოლას სახელი უფუჭდება. ერთმა აზნაურ-შვილმა შემომჩივლა: ვაი-ვაგლახით ვიხდი ფულს და შვილს ვზდი საჩხერის სამრევლო სკოლაში, მაგრამ ბავში კარგათ არ სწავლობს, ახლაც განმეორებით გამოცდა დაუნიშნეს სამღთო წერილიდანო. მე მოვინდომე დაწვრილებით საქმის შეტყობა და თურმე მთელ სამღთო წერილს ასწავლიან ბავშს იმ ენაზე, რომელზედაც არ იცის არც ლაპარაკი და არც წერა-კითხვა და ამიტომ ბავში იძულებულია ძალა უნებურათ მთელი წიგნი თუთიყუშივით ზეპირათ დაისწავლოს, ამით გონება უჩლუნგდება და ხალისი ეკარგება სწავლისა.

მგზავრი.

***

გურია. ჯურყვეთის საზოგადოებაში ამას წინათ ერთი საზიზღარი კაცის კვლა მოხდა: გლეხმა ლუკა აფხაზავამ მოჰკლა აქ ჩამოსახლებული რაჭველი, იუსტინე სოხაძე. აი საქმე როგორ ყოფილა: იუსტინე სოხაძე 19 ივლისს საღამოს, წავიდა მეზობლისას, ლუკა აფხაზავასას, ცოლს დაუბარა ადრე მოვალო, მაგრამ დიდ ხანს უცადეს და აღარ დაბრუნებულა; მას შემდეგ მთელი ოცი დღე ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. 14 აგვისტოს სოხაძე პოლიციამ აღმოაჩინა მკვდარი: ჯერ დასაფლავებული, მერე საფლავიდან ამოღებული და ცეცხლში დამწვარი; ოდნავ ძვლების ნამწვავები ჩანდა, ცალი მოჭრილი ხელი დარჩენოდათ მიწაში, რომელიც იპოვა პოლიციამ. ეჭვი მიიტანეს ლუკაია აფხაზავაზე, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს. მკვლელი გამოტყდა თავის დანაშაულობაში, პოლიციის ბოქაულს გამოუცხადა: „მე სოხაძე მოვკალი იმის მიზეზით, რომ ბევრი შეურაცყოფა მომაყენაო“... მკვლელობაში თავის ამხანაგათ დაასახელა ორი მეზობელთაგანი: იასონ მგელაძე და მოსე როსიეიშვილი, სრულიად ალალ-მართალი პირნი, რომლებიც, რასაკვირველია, დააპატიმრა პოლიციამ და ოქმი გადასცა სადაც ჯერ იყო. როგორც იქაური მცხოვრებლები ამბობენ საქმე სულ სხვანაირათ ყოფილა: სოხაძე მოუკლავს ნამდვილათ ლუკა აფხაზავას, სხვა ორი ამხანაგების დახმარებით, რომლებიც თავისუფლათ დათარეშობენ ჯურუყვეთში; როსიეიშვილი და მგელაძე მკვლელმა იმიტომ დაასახელა თვის ამხანაგებათ, რომ მგელაძეს დ̃ მკვლელის ცოლის ძმას დიდი შური ჰქონდათ ერთმანეთში, რაღაც წისქვილის თაობაზე; როსიეიშვილი და მკვლელიც ყოფილან ერთმანეთთან უკმაყოფილოთ; სოხაძე, როსიეიშვილი და მგელაძე კი კარგი ამხანაგები ყოფილან, მოკლულსა და მკვლელს-შორის კი ჩუმი უსიამოვნება ყოფილა.

მთელი სოფელი ამტკიცებს ამას: სოხაძე მისულა აფხაზავასთან 19 ივლისს ხარის სათხოვნელათ, რომელიც ცოტას ხანს შეუჩერებიათ, ამ დროს, იქვე მკვლელს ორი ამხანაგიც ჰყოლია, უცებ გავარდნილა თოფი და საცოდავი სოხაძე მკვდარი დაცემულა. აუკაფავთ პირუტყვივით და დაუმარხავთ სხვა-და-სხვა საფლავებში, უფიქრიათ რომ მკვდარს ნახ-

ვენ ტ ტყვიას შეამოწმებენო; რამდენსამე დღეს შემდეგ ამოულიათ მიწიდან, ჩაუყრიათ ცეცხლში და დაუწვავთ. მკვლელი ამბობს ცულით მოვკალიო. გამოძიება წარმოებს და ენახოთ საქმე რას გამოაჩენს.

არ — შვილი.

* * *

გავსებული, გაბადრული,
მაღლით დაგვცქერს ნაზი მთვარე
და მის ნათელს მთლათ მოუცავს
ეს კეკლუცი ჩვენი მხარე.

—

მთა და ველებს აელფერებს,
იქ მდინარეს ალაპლაპებს,
და ყურს უგდებს, როგორ იგი
მოჩუხჩუხებს, იდებს ქაფებს.

—

გრილი სიო დაჰქრის ველათ,
ასაუბრებს ვარდის ბუჩქებს,
ხან ყვავილებს ყელს გადუწევს
და უკოცნის ლამაზ ტუჩებს.

—

მიყრუებულ ტყეში ხენი
საიდუმლოთ ჩურჩულობენ
და ხან ზენას — შემოქმედსა —
ადიდებენ, უგალობენ...

—

და ბულბული, ბუჩქზე მჯდარი,
გრძნობით ნაბავს ლამაზ თვალებს,
უსტვენს ეშხით ავსებული
და ადიდებს ციურ ძალებს:

—

„შემოქმედო, შემოქმედო,
საქმე უნდა ვქნა საგმირო:
დაჩაგრულსა ნუგეში ვსცე,
მჩაგვრელს გული გავუგმირო.

—

მომეც, მომეც, შემოქმედო,
შენი მადლი — ხმა ძლიერი, —
რომ წრფელს გზაზე დავაყენო
ბოროტი და მანკიერი;

—

რომ მძინარე სინიდისსა
აეუხილო ორივ თვალი
და იმაში გავაღვიძო
ღვთაებრივი ნაპერწკალი;

—

რომ ამაყსა, ულმობელსა
მე მოვულბო ზვავი გული
და შიგ მტკიცეთ ჩავუნერგო
მოძმისადმი სიყვარული.

—

მომეც, მომეც, შემოქმედო,
მკვეთრი, ბასრი მე ისარი, —
ხმა წრფელი და ჭეშმარიტი, —
გულის გამგმირი ის არი.

—

მე არ მინდა, შემოქმედო,
ამით ვინმე გავაკვირვო:
მსურს, დაჩაგრულს ნუგეში ვცე,
მჩაგვრელს გული გავუგმირო!..

დ — ი.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობიდან.

ბუნებითაც კი დაჩრდილა ახალგაზდა ამერიკამ ჩვენი მოხუცი ევროპა! — სწერს მოგზაური პატოცკი. — შეერთებულ შტატებში მომიხდა მოგზაურობა და სწორეთ განცვიფრებული ვიყავი ბუნების თვალ წარმტაცი შვენიერებით, მისი მომხიბლავი სიდიადით! დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე განსაკუთრებით მაკინაკის კამარამ და ვეიერის გამოქვაბულმა, რომლების შესადარიც სხვა არა გაუჩენიარა საუკეთესო და ერთათ ერთ ნამდვილ ხელოსანს, ბუნებას.

მაკინაკის კამარა ვნახე შვენიერ, მთვარიან ღამით; მთვარის ნაზი, მთრთოლვარე სხივები ვერცხლის ფრათ ანათებდა კამარის ყოველ ნაწილის ზედა პირს და რაღაც საუცხოვო სურათს მიშლიდა თვალწინ; გარშემო ვიჩუმე სუფევდა, მხოლოთ ხან-და-ხან გაისმოდა ხომალდების ხმა... მაგრამ ეს ხმაც კი არ არღვევდა საერთო ჰარმონიას და რაღაც მშვიდი და წყნარი, სანეტარო გრძნობა თან-და თან უფრო და უფრო ილვიძებდა და მეფლებოდა ჩემში... მარტოთ მარტო ვიდექი ამ ბუნების საუკეთესო ნაწარმოების წინ და ვგრძნობდი ჩემ სიპატარავეს და უმნიშვნელობას, მაგრამ იმავე დროს ვგრძნობდი, რომ რაღაც უცნაური ძალით მეც მჭიდროთ ვიყავი ამ ბუნებასთან შეკავშირებული, იმ ბუნებასთან, რომელიც



მაკინაკის კამარა.

ასე შვენიერი და დიადი იყო ჩემ წინ, რომელიც ცხადათ მაგრძნობინებდა რა წვრილმანი და სასაცილოა ადამიანის ყოველიევე ფიქრი, ყოველიევე სურვილი, ყოველიევე მისწრაფება... ამ სიჩუმეში, ამ მარტოობაში ისეთი ბედნიერება, ისეთი გამოუთქმელი ნეტარება იყო, რომლის მსგავსიც ჩემ სიცოცხლეში არა გამომიცდიარა.

კიდევ უფრო დიდებულ ბუნების ნაწარმოებს წარმოადგენს ვეიერის გამოქვაბული.

პირველ შესვლაზე თქვენ წარმოგიდგებათ თვალწინ უზარმაზარი სტალაგმიტებით დაშვენებული დიდი ოთახი; ამ ოთახიდან მიდიხართ პატარა ვიწრო გზით, რომლის ბოლოშიაც ამართულია თოვლივით თეთრი ბუნებითი ქანდაკიბრომლის წყალობითაც ამ ოთახს "ავი სულის სასახლე" ჰქვია; აქედან გადიხართ მეორე ოთახში, რომელიც სულ სხვა-და-სხვა მოყვანილობის სტალაგმიტებით არის მორთული: ერთ მხარეს თითქოს ტრაპეზია გაკეთებული და ზედ სტალაგმიტები ურიცხვ სანთლებსავით არის ამართული, მეორეს—თითქოს ნამდვილი არღანი დგას ყოველ თავის მოწყობილობით; ოცი ნაბიჯი კიდევ რომ ძირს ჩამოდგათ, წაატყდებით საუცხოვო წყალვარდნილს, რომელიც თითქო რაღაც მანქანებით უეცრათ შეჩერებულა და გაქვავებულა; გამოუთქმელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე ამ ქვის ნიაგარის დაურღვეველი, სამარისებური სიჩუმე...

ამას შემდეგ გადიხართ „სენატის ოთახში“, სადაც შუაზე კაფედრასავით არის მოყვანილი სტალაგმიტი, მის წინ თითქოს ნამდვილი დასაჯდომი სკამებია დაწყობილი მსმენელთათვის, ზევით კი, კედლებზე გაყოლებულია, თითქო კაცის ხელით გაკეთებული, ვიწრო აივნები, ისიც მსმენელთათვის.

შემდეგ არის ერთი უზარ-მაზარი ოთახი, რომელშიაც ქვეიდან სტალაგმიტებია ამართული, ზე-



ვეიერის გამოქვაბული.

ვიდან კი სტალაქტიტები ჩამოსული; შუაში არის თეთრი, სულ წითელი ძარღვებით აჭრელებული, ეგვიპტის პირამიდის მსგავსი შენობა; ერთი მხრით ეს შენობა საძირკვლათა აქვს წვრილ, ნაზ და სპეტაკ სვეტს, „კლეოპატრას ნემსს“, მეორეთ კი—უფრო მძიმე და განიერს, „ანტონიოს სვეტს“, რომელიც თითქმის ჭერამდის ამართულა და საუცხოვოთ ანათებს თოვლივით თეთრი ზედა ნაწილით; კიდევ მრავალი სხვა-და-სხვა ოთახები, აივნები; პატარ-პატარა გამოქვაბულებია ამ ვეიერის გამოქვაბულში, და ყოველი მათგანი სხვა ნაირათ მოურთავს და ადამიანის თვალის მოსახიბლავათ მოუკაზმავს დაუღალავ და მოუსვენარ ბუნებას, ბრჭყვიალა და ცისარტყელასავით მრავალ ფეროვან სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით... ერთგან ვნახეთ „ახალგაზრდა ქალის სახურავი“, ნაზი, თეთრი ქვის ქსოვილი, რომელიც თითქოს უყურადღებოთ იყო დაგდებული სკამზე და რომელიც იატაკამდე ჩამოფენილიყო იმ გვარათ დაკეცილი, თითქო მართლა ნამდვილი აბრეშუმის ქსოვილი ყოფილიყოს... ბოლოს ჩვენ შევედით დიდ ოთახში, რომელიც თავის მოყვანილობით ადამიანს ძველებურ ტაძარს მოაგონებდა; შუაში ამაყათ ამართულიყო „ალმასის მთა“, რომელიც ათას ფრათ ელვარებდა და ბრჭყვიალებდა, როგორც ნამდვილი ალმასების გროვა; ბოლოს ჩვენ მივაღწიეთ „უზარ-მაზარ ლოკოკინასთან“, და განცვიფრებული გავჩერდით ამ მართლაც უზარ-მაზარ ლოკოკინასავით მოყვანილ შვენიერ ერთიან სტალაგმიტის წინ... ეს იყო უკანასკნელი ოთახი, ვეიერის გამოქვაბული გათავდა. თურმე სიგძით 250 საჟენი აქვს, მიხვეულ მოხვეულიც რომ ჩავთვალოთ ორი ამოდენიც გამოვა.

ე—გო.

## ხ ა ნ - დ ა - ხ ა ნ.

(ცხრა მთას იქით მოგზაურობა).

Ცხრა მთას იქით გახლდით, ჩემო მკითხველო!.. —„მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით დაბრუნებულხართო!“ – იმედია მომილოცავთ. მერე რა მოსალოცავია ეს?! ცხრა მთის მოვლა მოჰოპნა ძველ დროში იყო საძნელო, თვარა ახლა რაღაა!.. ჩაჯდები მატარებელში და ორ-სამ საათში ცხრა მთას კი არა, მეტსაც გადათელავ, გადიგლიჯინებ. დიახ, ჩვენ დროში ადამიანმა რკინის გზის და ცეცხლის გემების შეოხებით გაასწორა მთა-ბარი, ზღვა და ხმელეთი! ადამიანის ჭკუა-გონებამ და მოხერხებამ რა არა ჰქნა!.. „მთები გახვრიტა, კლდე გააპო, ზღვა ზღვას შეუერთო არხითა“ დ გააადვილა მიმოსვლა, მაგრამ ჩვენ კუთხეში არც ერთი არ გამოგვადგომია. რკინის გზას ვინ ჩივა, საცხენოსნო, ან საქვეითო გზა რომ იყოს ხეირიანი იქ, სადაც ჩვენ ვიყავით. მაგრამ ამაზე ქვეით ვილაპარაკოთ.

ამ ივლისს ჩვენ გავემგზავრეთ per pedem Apostolarum, ე. ი. ქვეითათ, გურიიდან გურიაში, ს. მ—დან ბახმაროში. ბახმარო გახლავთ ახალ გამოჩენილი საარაკო, სააგარაკო ანუ, როგორც გურიაში ამბობენ, საჰაერო ადგილი. ის მდებარეობს გურია-აჭარის მთებში ქ. ოზურგეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზე, 40 ვერსის მანძილზე. აი, ეს ბახმარო გახლავთ ცხრა მთას იქით და ისაა ჩვენი საუბრის საგანიც.

ვის რათ უნდა, ჩვენ როგორ ვიმგზავრეთ და ან რას ვფიქრობდით გზაში, მაგრამ, რა კი სიტყვამ მოიტანა, ესეც მოვიხსენოთ მოკლეთ. პირველ დღეს, ათ ივლისს საღამოს ხუთ საათზე გავემგზავრეთ სახლიდან და ღამე ს. ვაკიჯვარში გავათიეთ. ამ სოფელზე მიდის ბახმაროს გზა და აღმართიც აქედან იწყება—სიგრძით 25 ვერსამდე. თერთმეტ ივლისს, დილას ალიონზე წამოვხტით და შევუდექით აღმართს. დილა ნისლიანი იყო. ამ გარემოებამ ძალიან დაგვაღონა ყველა, რადგან მთიდან ბარს ვერ გადმოვხედავდით და ვერ ვიხილავდით იმ თვალ-წარმტაც, შვენიერ სანახაობას, რაც იქიდან მოჩანს თურმე. ამ ნაირათ, გულ ნატკენი და დაღონებული „აღმართ-აღმართ მივდიოდით ჩვენ ნელა“, მაგრამ აღარა ეშველა რა აღმართის გათავებას!.. გზას იქით აქეთ მიჰყვებოდა ნისლით დაბურული, ცოცხლათ შესუდრული წიფლნარ-შკერნარ-წყავნარი. . იმათი დიადი სიჩუმე რაღაც უცნაურ შიშს გვგვრიდა გულში!.. მოგეხსენებათ, პირველსავე ნაბიჯს თუ დაბრკოლება თან დაჰყვა, რა საქმეც უნდა იყოს ეს, კაცს გულს გაუტეხს და ათას რამეს აფიქრებიებს. ჩვენც ასე მოგვივიდა. ასე გვევონა, სულ აღმართ-აღმართ იქნებოდა სასიარულო ბახმარომდის!.. მართლა რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ ბახმაროში კი არა, შიგ ცაში ამოვყოფდით თავს!.. სხვებს არ ვუმხელდი, თვარა მე დიდი შიში ჩამეჭრა გულში... ვფიქრობდი: უთუოთ იაკობის კიბე გადმოუშვეს ანგელოზებმა და ეს არის ცაზე მივყავართ-მეთქი!.. ერთი მხრით კიდეც მიხაროდა, რადგან ეს ჩვენი წმიდანობის უტყუარი ნიშანი იქნებოდა, მაგრამ, მეორე მხრით, გულიც მეთუთქებოდა, რომ ვშორდებოდი ამ შეჩვეულ, ავია თუ კარგი, ქვეყანას და მივდიოდი სად,—ვინ იცის!.. მე რომ ამ ფიქრებში ვიყავი გართული, ,,გვეშვე-

ლათ!“ — ერთ ხმათ წამოიძახეს ჩემმა თანამგზავრებმა. მართლაც და გვეშველა!.. მივაღწიეთ პირველ დასასვენებელ ადგილამდის. ეს არის „საბაქო“, სავაკიჯეროდან 4 ვერსის სიშორეზე. ჩვენც დავისვენეთ, რასაკვირველია, დავიწყნარეთ ამოვარდნილი ქშინვა და გულის ცემა. აქ შესანიშნავი არაფერია, გარდა იმისა, რომ წიფლებზე ამოვიკითხავთ ზოგიერთა გამვლელ გამომვლელის სახელსა და გვარს. ჩანს, უბრალო მომაკვდავთაც ჰქონიათ სურვილი თავისი ვინაობის უკვდავ-ყოფისა და წიფლებზე მაინც ამოუჭრიათ თავისი სახელი და გვარი!.

შევუდექით კიდევ აღმართს. დარი არა თუ არ გამოკეთდა, პირიქით, წახდა კიდეც!... სულ დაჰბურა ნისლმა არე-მარე და არა იხედებოდა რა. სამ-ოთხ საჟენზე ჩვენც ველარ ვარჩევდით ერთმანეთს!. ნისლს თქორიც მოჰყვა და სულ მთლათ დაგვასველა.. ვიარეთ, ვიარეთ, გავიარეთ სხვა დასასვენებელი ადგილებიც, მაგალითათ: „თხმელნარა“, „წიფლის წყარო“, „სიპნარა“, „ლორ სომლია“, „სომლია“, „ბაისურა“, დავუახლოვდით ჩვენს აღთქმულ ბახმაროს. ბაისურაზე რომ მივედით—ცოტა გადიღო ნისლმა და ბახმაროც გამოჩნდა. გავიარეთ კიდევ რამდენიმე აღმართ-ჩაღმართი და ნაშუადღევის სამ საათზე მივედით კიდეც. ესეც ბახმარო!

ბახმარო წარმოადგენს სხვა ახლო მახლო მდებარე მთებთან შედარებით დაბალს, მაგრამ თავისთავათ კი საკმაოთ მაღალ გორაკს სიმაღლით ის 6000 ფუტზე (857 საჟენს უდრის) მეტი იქნება ზღვ-ს დონედან; სხვა გარშემო მთების მწვერვალნი კი 10,000 ფუტამდის (7 ფუტი=1 საჟ.), მაგ. „საყორნია“, ადის. საუცხოვო რამ არის ბახმაროს მდებარეობა!.. მაგრამ ამ სიშვენიერეს საქართველოს შვილისათვის ის ზეალმტაცი, აღმაფრენი ძალა არ აქვს, რაც უცხოელებისთვის... ჩვენს გარემოებით დაწეულ-ჩამოქვეითებულ, მაგრამ ბუნებით კი შემკულ ქვეყანაში ყოველ ბიჯზე ხვდებით ხოლმე მჯობნის მჯობნე სურათებს!.. ამიტომაც არის, რომ ჩვენი შეჩვეული თვალი დიდ ხანს არც კი ჩერდება ასეთ სურათებზე... მაგრამ დაანახვეთ ეგევე იმ ქვეყნის შვილს, სადაც მოტიტვლებული მინდორ-ველენი თავისი მომაწყენელი ერთგვარობით და თვალ უწვდენელობით გულს უზარავს ადამიანს, თვალს ულალავს და გონებას უჩლუნგებს!.. მის გაოცებას არ ექნება საზღვარი!.

შვენიერი სანახავია ბახმარო! ამ კოპწია, კოხტა გორაკს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, შეფენებას მარცხენა მხრით ჩაუქრის ბუტ-ბუტ-ჩუხ-ჩუხით მდინარე „ბახვის წყალი“. ბახვის წყალი!.. ბევრის მომსწრე, ბევრის მნახველი, მოხუცი, მაგრამ მაინც ახალგაზდა... ცივი, 14° ივლისში, ანკარა, სუფთა... აქ სულ სხვაა, ვიდრე ქვევით,—სოფლებში!.. აქ ის შეედრება 17—18 წლის ქალიშვილს,—ჯანსაღობით სრულს, უნაკლულოს, იმედებით სავსეს, წმიდა სიყვარულით აღგზნებულს!.. ქალიშვილს ხან აღელვებულს და პირ-ქუშას, ხან მშვიდს და წყნარს, ნაზს და ტურფას... მუდამ გულ-წრფელს, გულ-უბრყვილო და უმწიკვლო არსებას!.. ქვევით კი, სოფლებში, ის ჰგავს ქმარ-შვილიან, დინჯ, გამოცდილ-დაკვირვებულ, ცხოვრების ჭახრაკში გატარებულ მანდილოსანს!.. მანდილოსანს ხან ისეთს, რომელიც დედობრივი სიყვარულით თავს ევლება შვილებს, ეალერსება ქმარს, შეტრფის ოჯახს, ამყარებს შიგ მყუდროება-სიამოვნებას... ხან კი ისეთს, რომელიც წყევლა-კრულვით იხსენიებს თავის ქმარ-შვილს, ეკაპასება მათ, მუდამ შუღლი და უთანხმოება შემოაქვს ჯოჯოხეთათ ქცეულ ოჯახში... მანდილოსანს უზნეოს, მოღალატეს უსულ-გულოს!.. პირველს წარმოადგენს ბახვის წყალი მშვიდ და წყნარ ამინდებში, მომეტებულათ ზაფხულზე; მეორე კი წვიმა-ელვა-ჭექა-გრგვინვის დროს, მომეტებულათ გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ამ დროს მის მრისხანებას არ აქვს კიდე და არც საზღვარი!.. მიჰქუხს და მიღრიალებს პირზე ქაფ მოდებული, გულ ამღვრეული!.. გადადის და ღრღნის ნაპირებს, მიაქვს ყანები, ხიდები და სხვა!. აი, ეს ორპიროვან, ორ-ბუნებოვანი მდინარე უვლის და ეამბორება აგარაკ ბახმაროს. თუ ბახმაროს ჰქონს თავი, თავისი ტურფა მოაგარაკე ქალიშვილებ-მანდილოსნებით, ბახვის წყალსაც არა ნაკლებ თავ-მოსაწონი მოაგარაკენი ჰყავს რა შეედრება იმ წითელ წინწკლებიან, მალხაზ, ცელქ, ხტუნია არსებათა, რომელთაც „კალმახი“ ეწოდება? საკმარისია მდინარეზე ითქვას: შიგ კალმახი ბინადრობსო, თუ გინდათ ამ მდინარის სიცივ-სიანკარ-სისუფთავეც დასურათოთ.

ბახმარო კარგა დიდ სივრცეს შეიცავს, მაგრამ თვით აგარაკი კი პატარაა. საზოგადოთ ბახმარო მდებარეობს ბახვის წყლის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე და, გარდა მთა-გორაკ-ფერდოებისა, წარმოადგენს დაბლობ ჭალებსაც. მთელი ამ მწვანე ბალახით შემოსილი მიდამოსთვის, სივრცით დაახლოვებით ორ-სამ-ოთხ კუთხ ვერსი იქნება, ბუნებას გარს შემოუვლია ნაძვნარის წრე. ნაძვნარის წრე!.. ამას ასე უბრალოთ, ასე უშნოთ ენა იტყვის, კალამი დაწერს, თვარა ნამდვილათ კი საუცხოვო რამ სურათია!.. უმზერთ და გიკვირთ: ასე გგონიათ, სწავლულ მებაღეს გაუშენებია ეს ნაძვნარი ასე ლამაზათ, ასე სიმეტრიულათ, ასე ახლო დაყოლებით, ზღვ-ს ტალღებისებურათ... ეს ნაძვნარი ირგვლივ უგზავნის ხოლმე ბახმაროს თავის სუნნელებას და აზავებს ისეც შეზავებულ ჰაერს,

ამ არე-მარეს ზედ გადმოჰყუდებიან აქით-იქედან უზარმაზარი მთები, რომლებზედაც მზის სხივებზე, აქა-იქ ბჭყვრიალობენ გაუმდნარი თოვლის ზოლები!.. ეს მთები თავისი აწვდილი მწვერვალებით ხან პირნათლათ დაცქერიან ბახმაროს და ალერსით, თუნდა მედიდურათ, უღიმიან... ხან კი ნისლ-ბურუსში გახვეულნი, დაღვრემილნი და გულჩათხრობილნი, თავისთვის ფიქრს ეძლევიან და ბახმაროსაც საგონებელში აგდებენ!..

— „გულ ჩახვეულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“—მივმართე ნისლით დაბურულ მთას პოეტის სიტყვებით და შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა მისი ასეთი საკვირველებით მოცულობა, იდუმალობა?.. პასუხი არსაით იყო!.. ფიქრებმა წამიღეს... ოცნებას დავემონე!.. გადავიარე ფიქრით ათასი მთა და ბარი, დავტოვე აწმყო ⁊ შევუერთდი წარსულს... წარსულს შორეულს, ძველის ძველს!. დამეხატა თვალ-წინ ისტორიული, საკვირველებით სავსე, წმიდა სინას მთა, ღრუბელში გახვეული, ღრმათ ჩაფიქრებული... აი, მოსე წინასწარმეტყველიც!.. ზედ მწვერვალზეა და ღმერთთან საუბრობს, ათ მცნებას იბარებს, რომ დაჩაგრულს და დატანჯულ ისრაელის ხალხს გზათ და ხიდათ დაუდვას!..

ოჰ, ფიქრნო, ფიქრნო! გადამატარეთ ისევ უკან ის ათასი მთა და ბარი და დამაბრუნეთ ჩემს სამშობლო ქვეყანაში!.. იქაც ხომ საჭიროა წინასწარმეტყველი... ათი მცნება!.. მაგრამ ვინაა, რომ ღმერთთან საუბრის ღირსი გახდეს!?.. ვინაა, რომ ერს ისტორიულათ დაჩაგრულს, დაძაბუნებულს, ღონე მიხდილს განმაცხოველებელი სული ჩაბეროს და განახლების გზაზე დააყენოს?! .—„არავინაა, მაგრამ იქნება, იქნებაო!“—ჩამჩურჩულა ყურში რაღაც უცნაურმა ხმამ და მეც გამოვერკვიე...

მკითხველი არც კი შემეკითხება, თუ როგორი ჰავა არის ბახმაროში. რა კი აგარაკია, საზაფხულო ადგილია და მასთან ასე შემკულიო,—დაასკვნის მკითხველი,—თქმა არ უნდა; ჰავაც კარგი იქნებაო. რასაკვირველია. მაგრამ არც ასე მოკლეთ დასურათდება ბახმაროს ჰავის სიკარგე. ბახმარო შავ ზღვაზე მხოლოთ 55—60 ვერსის სიშორეზე იქნება; ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს აქაური ჰავის დაფასების დროს. ბევრია სააგარაკო ადგილები, სადაც —ზღვის სიშორის გამო—ჰაერი მშრალია, ერთგვარია, სხვა და-სხვაობას და სხვა-და-სხვა ფერობას მოკლებულია. აქ კი, ბახმაროში, შეერთებულ-შეკავშირებულია ზღვა ⁊ ხმელეთი, მთა და ბარი, ცა და დედა-მიწა!.. მთის მშრალს და სალს ჰაერს უერთდება და აზავებს ზღვის სველი და სამკურნალო ჰაერი!.. ნეტარებას აგრძნობინებს ადამიანს აქაური დილასაღამო!.. ისეთ ნეტარებას, რომელიც მოკლეთ, მაგრამ სისრულით დაუსურათებია პოეტს, როცა ასე ამბობს:

„ვიშ ამ დილასა, ამ ჭაერს ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქრობელს, სიცოცხლის დამატკბობელსა.

ზომიერათ გრილა, ზომიერათ ცივა, ზომიერათ თბილა, აი, რა ითქმის აქაურ ჰავაზე!.. შუადღეზე 16—17° არ აცილდება ხოლმე სიცხე ჩრდილ ქვეშ, ხოლო 12—13° სახლში.

დიდი ნაკლი იქნებოდა ბახმაროსთვის, რომ მას მისი შესაფერი წყაროებიც არ აშვენებდენ. წყაროები და მერე როგორი!.. ცივი? ცივი კი არა, ცივზე უცივესი... მხოლოთ 4°!!.. კბილებს დაგამტვრევს, ხელს გაგიყინავს, თუ შინჯეთ და წამზე მეტი გაუჩერეთ!.. ყველა კარგია, ყველა მარგეა, მაგრამ სხვაზე უმჯობესი „გურიელის წყაროა“. *) მხოლოთ ამას ღა შერჩენია აქ თავის ძველი პატრონის სახელი... სხვა კი ყველაფერი ახალი სახელითაა მონათლული და „სახაზინო“ ჰქვია...

ჭალარა.

(შემდეგი იქნება).

---

# თუშური სიმღერები.

## VIII **)

დავით, ნაბიჭრათ გაზდილო,
ბატონო ახმეტისაო,—
ვინ მოქცა მებალახობა,
ყუდროი ბოჭორმისაო? 1)
ნაზირი შემოგიფთხინავ
ხუმარაისი 2) ცხვრისაო,
ბატკანი მოგწონებია
თვალ-წითელ შიშაქ ცხვრისაო.
დავითო, ბატკანს ნუ იჭერ—

---

*) გადმოცემით დარჩენილა, რომ ერთი რომელიღაც გურიელთაგანი შემოქმედში (გურიელების სამარხია) წირვის გათავების შემდეგ ხშირათ ბახმაროში მიდიოდა თურმე სასადილოთ და ამ წყაროს პირათ შეექცეოდა სადილს. ჩანს, სახელიც აქედან მიუღია წყაროს.

**) იხ. „კვალი“ № 23.

1) შენობიანი ადგილი ცივ-გომბორის მთაზე; გადმოჰყურებს კახეთში სოფ. ქისტაურს და ახმეტას.

2) ფშაველი,

ნაზარდი არის მწარე დღესა;
ემაგის გამოზრდაშია
არც ძილი მიძინებია;
ღამეიც გამითენებია
დაუდებულსა ჯორზედა.
წინა დაგისვდებ ხუმარა —
ეგ არის შენის ჭკვისა.
ჯერა გეტყოდა ჭკვიანსათ,
მერ ჩახმახს დაჩქამდისა.
ჯავრითა ხუმარასა
ძილიც არ უძინებია.
მათურელებსა 3) უბარებია:
ნუ მაგვიწუხდეს ხუმარა —
ბევრნი ვართ მათურელები
აშენებული ცხვრითა —
ანამ მაგვხდება თითო ასაზი,
ან თითო ციკან თხისა.

ჩვენ გვაქვს ჩაწერილი ამ ლექსის ერთი ვარიანტი, რომლის „მოშაირე“ ყოფილა ვილაც თუში პეტრე ზარიძე. ეს საქმე ჩვენ საეჭვოთ მიგვაჩნია.

# ძვირფასი ბორკილი.

## შირვანზადესი *)

(სომხურიდან გადათარგმნილი დ. ტერ-დავთიანცის-მიერ)

ზაფხულის საღამო იყო. ქვრივი რიმსიმე იჯდა თავისი სახლის აივანზე და ჩაის აკეთებდა. მისი ერთათ ერთი შვილი სმბატა მის მოშორებით იჯდა და პატარა, შვენიერი ბაღჩით დამშვენებულ ეზოსკენ იყურებოდა.

მოწყენილი შვილი რაღაც ფიქრებს მისცემოდა. ხან-და-ხან ღრმათ ამოიოხრებდა და თვალებს მიაპყრობდა ხოლმე ლურჯ, სპეტაკ ცას, რომელზედაც ნელ-ნელა მოცურავდენ იქა აქ გაფანტული ღრუბლები.

ფ) ფშაველების სოფელი.

*) შირვანზადე სომხის ახალგაზრდა ბელლეტრისტია, წერს ფსიხოლოგიურ ეტიუდებს. მისი შესანიშნავი რომანებია: „არსენ დიმაქსიანი“, „ნამუსი“, „ცეცხლი“ და სხვა.

დ. ტ.—დ.

დედას შეემჩნია შვილის მოწყენილება, მისი მიზეზი კი ვერ გამოერკვია. სტაქნით ჩაი დაუდგა, თითონაც მის პირდაპირ ჩამოჯდა და დაუწყო შვილს ყურება. როკორი შიში, ვედრება და, იმავე დროს, წმინდა, დედობრივი სიყვარული იხატებოდა მის თვალებში! ეტყობოდა რომ ყოველ წამს მზათ იყო თავის სიცოცხლე მსხვერპლათ შეეწირა, ოღონდ კი შვილის მოწყენილება და დაღონება გაექარვებინა.

სმბატამ დალია ჩაი, ადგა და თავის ოთახისკენ გასწია.

—სმბატ,—გაუბედავათ მიმართა მას დედამ.

სმბატა შეჩერდა. ეზოში არავინ არ იყო; მოსამსახურე მოშორებით იდგა და წყალს ასხურებდა ბაღჩის ყვავილებს. დედა და შვილს თავისუფლათ შეეძლოთ ერთმანეთთან ლაპარაკი, ყურს არავინ არ უგდებდა.

—რა გინდა?—ჰკითხა შვილმა.

ცდილობდა, წყნარათ წარმოეთქვა ეს სიტყვები, მაგრამ, მაინც მის ხმაში ერთ გვარი არა ჩვეულებრივი მკაცრობა გამოისმა.

—მინდა რომ შენი მოწყენილობის მიზეზი გამაგებინო.

—მოწყენილი არა ვარ.—თქვა შვილმა და პირი იბრუნა წასასვლელლათ, მაგრამ დედამ განაგრძო:

—შენ მე ყველაფერს მიმალავ, ნუ თუ არ გესმის, რომ მაგითი ძალიან მაუბედურებ.

—ძალიან ცნობის მოყვარე ყოფილხარ,—უპასუხა შვილმა და ახლა კი ცხადათ გამოიხატა მის ხმაში უკმაყოფილება.

—სმბატ!..

არა ჩვეულებრივმა ღიმილმა გადურბინა შვილს ტუჩებზე, როდესაც დედამ თავით ფეხებამდე ეჭვით ჩამოათვალიერა.

—ეს აუტანელია! შეჰყვირა მან და სკამზე დაეშვა.—დედა, ეს აუტანელი ცხოვრებაა. მოსვენება აღარა მაქვს შენი ეჭვებისაგან; ყოველ წამს მეუბნები: „სმბატ, რათა ხარ მოწყენილი? სმბატ რათა ხარ ჩუმათ? სმბატ რატომ არა სჭამ? რატომ არა სვამ?“, გეუბნები რომ ყველა ამან თავი მომაბეზრა!

დედამ სკამი წინ მიიწია და შვილს თვალები მიაშტერა, მოუთმენლათ ელოდა სიტყვის გაგრძელებას.

—მე მოწყენილი ვარ, და შენა ხარ ამის მიზეზი.—განაგრძო გულმოსულმა შვილმა,—ჩემზე ზრუნვის მეტს არას აკეთებ, თითქო პატარა ბავში ვიყო, როდემდის უნდა იყოს ასე? თუ ღამე გვიან დავბრუნდები სახლში, შენა ტირი, სადმე გასავლელლათ მივდივარ, მარიკებ და ისე მისტუმრებ, არა ვჭამ—მაძალებ, ჭამეო, დაძინება არ მინდა—მაძალებ დაიძი-

ნეო, რომელიმე წიგნს ხელში ვიღებ წასაკითხავათ ხელიდან მართმევ, „თვალებისათვის მავნებელიაო“, ამხანაგებთან წიგნის მიწერა მინდა—არ მაცლი, „გული გეტკინებაო“. აი ეგ შენი სნეული სიყვარულია ჩემი მოწყენილობის მიზეზი, მაგ შენის სიყვარულით ყმასავით მსრესავ; შენი სიცოცხლე შეგიერთებია ჩემ სიცოცხლესთან, გინდა რომ ოც და-ოთხი წლის ჭაბუკმა ძუძუმწოვარი ყმაწვილივით ვიცხოვრო. ეგ დედობრივი სიყვარული არ არის, ეგ მტარვალობაა.

მწარეთ ამბობდა ამ სიტყვებს სმბატა; აღელვებისაგან მისი ხმა თან-და-თან უფრო-და-უფრო კანკალებდა და ეტყობოდა დიდი ხანი იყო რაც მის გულში სდუღდა ეს სიმწარე, რომელსაც ადრე თუ გვიან გარეთ უნდა გადმოეხეთქა.

განცვიფრებული დედა შიშით, ხმა ამოუღებლათ უყურებდა მას და ცდილობდა არც ერთი სიტყვა არ გამოჰპაროდა.

—ნუ თუ შემიძლია დედობრივი სიყვარული ვუწოდო იმ გრძნობას, რომელიც ყოველ წამს ამძიმებს, აბრკოლებს ჩემს თავისუფლებას?—განაგრძო სმბატამ, რომელიც დედის სიჩუმემ კიდევ უფრო გაამწარა,—ნება არ მომეცი რუსეთში წავსულიყავ, რომ სწავლა დამემთავრებინა, გეგონა რომ იქ მისვლის უმალ მოვკვდებოდი! (დედა აკანკალდა) შენ მომაშორე ამხანაგების წრეს და მაძალებ გაძევებულისავით უკუნისამდე ერთ ქალაქში ვიცხოვრო, შენ თვალ წინ. ვიმეორებ, ეგ დედობრივი სიყვარული არ არის: ნება მომეცი, ცოტა თავისუფლათ ამოვისუნთქო, საკმარისია რაც ხელ-ფეხ შეკრული გყავდი.

სმბატა გაჩუმდა, წამოდგა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და აღელვებით დაიწყო აივანზე სიარული.

გაფანტულმა დედამ გონება მოიკრიბა და შვილს მიჰმართა.

—შვილო, მე როდის დამიბრკოლებიხარ რაშიმე? რაც გინდა ის ქენი, როგორც გინდა ისე იცხოვრე, აი ეს სახლი, ადგილ-მამული, სიმდიდრე სულ შენი არ არის? სხვა რაღა გინდა, სულიკო... მოგცემ, ღმერთმაც იცის რომ შენთვის არაფერს არ დავიშურებ...

სმბატამ სიმწარით გაიღიმა.

—სულიკო!—განიმეორა მან და გაჩერდა დედის წინ,—კიდეც ეგ არის რომ მე არა მსურს, რა საჭიროა ეგ შენი სულიკო? უკეთესი იქნებოდა ჩემზე ნაკლებ გეფიქრა. გარწმუნებ, დედა, რომ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ნაკლებათ გყვარებოდი, ანუ კიდევაც გძულებოდი, დიაღ, ამოირეცხე გულიდან ეგ შენი სიყვარული.

—ამოვირეცხო სიყვარული? აღარ მიყვარდე?—განიმეორა ქვრივმა დაფანტვით.

— შეცვალე მაინც, თუ ამორეცხა არ შეგიძლია.

რიმსიმემ ველარ მოითმინა, და თვალებიდან დიდი ხნის შეგუბებული ცრემლები ნაკადულივით წამოსკდა.

აღშფოთებული სმბატა თავის ოთახში შევარდა და ჩაცმას შეუდგა. ჰგრძნობდა რომ მკაცრათ მოეკიდა დედას და შეებრალა იგი, როდესაც მაგონა მისი გულსაკლავი ქვითინი. მაგრამ მაინც თავის თავს დამნაშავეთ არა ჰგრძნობდა, მეტათ ამძიმებდა ის სიყვარულის ბორკილი, რომლითაც დედას ეგოისტურათ შეებოჭა იგი.

ამ დროს რაღაც ხმაურობა მოესმა, უკან მიიხედა და შეამჩნია თავისი დედა, რომელიც ფარულათ კარების ჭუჭუტანიდან უყურებდა შვილის მიხვრა-მოხვრას. საბრალო დედა! მისი სიყვარული და იჭვნეულობა იქამდე ასულიყო, რომ ეშინოდა, ვაი თუ ჩემმა შვილმა აღელვებულ მდგომარეობაში ცუდი რამ ჩაიდინოსო... სმბატა მაშინვე მიხვდა დედის ფიქრებს. საჩქაროთ ჩაიცვა ტანისამოსი, კარში გავიდა და დედას არც კი გამოეთხოვა; ეზოდან კარში გამოსვლის დროს კი ველარ მოითმინა და უკან მოიხედა დედა იდგა ფანჯრის წინ, ხელები უბეში ჩაეწყო, თავი გადაეწია და მას უყურებდა. მისი შეხედულობა ისეთი მჭმუნვარე და დაღონებული იყო, რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სმბატაზე და ბოდიშის მოთხოვის სურვილი აღუძრა გულში, მაგრამ ყმაწვილი კაცი მაინც აღარ დაბრუნდა უკან.

წავიდა თუ არა სმბატა, რიმსიმემ საჩქაროთ მსახურს დაუძახა.

—გასპარ,—უთხრა შეწუხებულმა დედამ,—ამ წუთას შენი ბატონი კარში გავიდა, ძრიელ აშფოთებული იყო, არ ვიცი რატომ, ჩქარა უკან დაედევნე, მაგრამ არ მიუახლოვდე, შორი ახლოს მიჰყევ ისე, რომ ვერ დაგინახოს, შენ კი თვალი არ მოაშორო. გესმის თუ არა?..

—ბატონი ბძანდები, —უპასუხა გასპარამ, ბარ სამიანების სახლის უწინდელმა ერთგულმა მსახურმა.

—მოიცა, საპაპიროზე აქ დარჩენია, ვინიცობაა შეგნიშნოს, უთხარი მაგისთვის დაგედევნეთქო. ახლა კი გასწი, თორემ ვერ მიეწევი.

(შემდეგი იქნება)

## ბ-ნი ,,მგზავრის" კორესპონდენციის გამო.

ბ-ნო რედაქტორო! ჟურნალ „კვალის" 31 №-ში ვიღაც „მგზავრის" წერილი იყო დაბეჭდილი ჩემს შესახებ. ჩავკვირვებივარ და ვერ გამიგია, რამ აიძულა ბ-ნი კორესპონდენტი, ასეთი უცნაური ცილი დაეწამებინა ჩემთვის და მით პატივ-ცემული საზოგადოების წინაშე ჩემი პირადობა გაეთახსირებინა. ბ-ნი „მგზავრი" რომ მართლა შეგნებული და სიყვარულით გატაცებული დამცველი ყოფილიყო მუშათა ინტერესებისა, ის რომ ფხიზელი გონებით ჩაჰკვირვებოდა მათ უბედურ მდგომარეობას, გაიგებდა, რომ ეგრეთ წოდებული „შრომის ამხსნელი ხმალი" ცოტა უფრო ღრმათ არის დაფლული, ვიდრე მას ჰგონია...

ყველამ კარგათ უწყის, თუ რა საზიზღარ ხელობათ გახადეს ეგრეთ წოდებული „მოიჯარადრობა", განსაკუთრებით ჩვენს დროში, როდესაც „ბრძოლა არსებობისათვის" საშინლათ გამწვავდა და შრომასაც ფასი ერთობ დაუვარდა... უკიდურესმა მდგომარეობამ, ჩემდა უნებურათ, მეც მაიძულა, ხელი მომეკიდა ამ არა სიმპატიური საქმისათვის. თავს მით ვინუგეშებდი, რომ რაც შეიძლება, სინდისიერათ მოვეპყრობი საქმეს და ვეცდები, ღირსი არ გავხდე საზოგადოების წინაშე ზნეობრივათ გალახვის მეთქი. მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, გულ წრფელობა და სიმართლე არ მომეხმარა, რადგანაც ჩემი პირადობა წვრილმანი ანგარიშებით გატაცებული, „საზოგადო კანტროლებისაგანაც" დასაზღვევი გახდა... ბ-ნ მგზავრს რომ ნათლათ გამოერკვ-გამოეძიებია საქმე, თუ მადლობის არა, ლანძღვა-თრევის ღირსი მაინც არ გავხდებოდი, რადგანაც, თითქმის რვა წელი სრულდება, რაც ასეთ წრის ხალხთან მაქვს საქმე, რომ ბევრ დამცირებას და შეურაცხყოფას ვითმენ, მხოლოთ იმიტომ, რომ ჩემ საწყალ მეზობლებს გავუჩინო ლუკმა პური, და მეც ვიშოვო ორიოდ გროში ღარიბი ოჯახის დასაპურებლათ... მე თითონვე აღვიარებ, რომ უბრალო, შავ მუშაზე ცოტა მეტ ჯილდოს კი ვიღებ ჩემი შრომისას, სამაგიეროთ ჩემი პრინციპი ის არის, რაც შეიძლება ხელი მოვუმართო საწყალ ხალხს, მოსწავლე ახალგაზდობას მხარი მივცე და, თუ ჩემს ქველ-მოქმედებას ქვეყანა ვერ ხედავს, განა რასაც სიკეთეს ვიზამთ, ყველა უნდა ვიყვიროთ?.. ზემოხსენებული გულ ახდილობისა მე არ მეშინია, რადგანაც, დარწმუნებული ვარ, საზოგადოებისაგან წესიერ პირებათ ცნობილი უმეტესობაც, ჩემი ზემოხსენებული ცოდვის მოზიარეა. თვითოეული ჩვენგანი, თუნდ ანგელოზათ ცნობილი იყოს, სხვებს აწოდებს ხოლმე, სათნოების წყალს, თვარა თითონ კახურით ილბობს დალოცვილი ყელს... ეს ისეთი ცხადი საბუთია, რომ მისი უარ ყოფა მალათ თვალების ახვევა იქნება.

ბ-ნი „მგზავრი" ბრძანებს: მოიჯარადრე რომ შრომის ფასის ნახევარს მაინც მისცემდეს მუშებს, თვითოეულ მუშას 25 მანეთამდე ერგებაო. ნეტავი გამაგებინა სად ნახა ბ-ნმა „მგზავრმა", რომ შავი მუშა 50 მანეთს ღებულობდეს თავის შრომის ჯილდოთ. მხოლოთ ინგლისში თუ შეიძლება ასე ხდებოდეს, სადაც მუშების საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული, თვარა სხვაგან არ ვიცი... უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური მუშების შრომის ჯილდოს რაოდენობა ტვირთის რაოდენობაზეა დამოკიდებული და, რადგანაც ტვირთი თვიურათ მეტ ნაკლებია, ამიტომ ამის და მიხედვით მუშასაც მეტ ნაკლები შრომის ქირა ეძლევა. 1897 წლამდი არ მახსოვს, რომ მუშებისათვინ 18 მანეთზე ნაკლები დამერიგებინოს და 24—26 კი არა ერთხელ. წელს კი ყოველ ათას ფუთზე 9 მანეთის მაგივრათ 8 მ. 25 კ. იძლევა საზოგადოება, ამას ზედ დაუმატეთ ტვირთის ნაკლებობა და აღარ გაგიკვირდებათ, რომ მუშას ქირა შეუმცირდა. ბ-ნ მგზავრს რომ დავურწმუნოთ, მე, 30,000 მანეთამდე მრჩება მუშებიდან წელიწადში, ეს რომ სიმართლე იყოს, მე კარგა ხანია სამეფო სასახლეები მექნებოდა დამართული და ინგლისის ბანკშიაც კარგა ბლომათ ფულები. ვინც მიცნობს, კარგათ იცის, რომ ესენი მე სიზმარშიაც არ მომელანდება. ბ-ნი „მგზავრი" თუ მართლა დარწმუნებული ბრძანდება ჩემ ასეთ საზღაპრო შემოსავალზე, დიდის სიამოვნებით დამითმია მისთვის ეს ადგილი, იმ პირობით კი, რომ თვითოეულ მუშას 25—მანეთი ახვედროს ყოველ თვეში, დანარჩენი 20,000 მან. თითონ ჩაიწყოს ჯიბეში და 10,000 მან. მე მომცეს შრომის ფასათ; ამ 10,000 მანეთიდან მე კიდევ მხოლოთ 1000 მანეთს ავიღებ და დანარჩენს საქველმოქმედოთ გადავდებ, ვგონებ პირობა არ არის ურიგო? თუ გამართლდება ბ-ნი „მგზავრის" შეხედულება ჩემს საქციელზე, მაშინ სწორეთ ღირსი ვიქნები საზოგადოების წინაშე გათახსირებისა, წინაამდეგ შემთხვევაში, ზნეობრივ ვალდებულია ბ-ნი კორესპონდენტი პასუხი გამცეს უმართებულო გალანძღვისათვინ. ზემოხსენებული ავაზაკობა აღარ დამაჯერა ბ-ნმა „მგზავრმა" და ზედ ისიც დაუმატა, თითქოს მე აქ მუშებს პოლიციელებს უგდებდე პრჭყალებში და სამ—სამი დღით სატუსაღოში

ვახრჩობდე მშიერ-მწყურვალებს. უმორჩილესათ გთხოვ ბ-ნ „მგზავრს“ დამისახელოს ერთი მათგანი მაინც.

რადგანაც ასეთი სამარცხვინო და მსეცური საქციელი ჩემ სიცოცხლეშიაც არ მახსოვს, რომ ჩამედინოს, ამიტომ დამრჩენია ვიფიქრო, რომ ეს ბ-ნი „მგზავრის“ მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია, რათა დრამატიული ხასიათი მისცემოდა მის შენიშვნას, რომ მით საზოგადოების გული აეჩქვილებინა და მაზე შთაბეჭდილება მოეხდინა... მე თითონ მუშა გახლავარ, არც სხვებზე ნაკლებათ მეცოდება მუშები და, თუ ვინმე რამე მწიკვლს და უწესოებას შემნიშნავს ჩემს საქციელში და სამართლიანათ დამისაბუთებს, მე თითონ დიდ მადლობას შევწირავ მუშათა გამოსარჩლებისათვის.

დასასრულ, თუ მართლა მუშათადმი გულ-წრფელი სიყვარულით არის ბ-ნი „მგზავრი“ გამსჭვალული, თითონ ჩადგეს მუშათა გუნდში, სადაც, თუ კი მომზადებულია, უფრო თვალსაჩინო რასმეს გააკეთებს, ვინემ ჩემი პირადობის ტყუილუბრალოთ გათახსარებას. *)

თქვენი მორჩილი მონა სილევან კალანდაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ატატო სოლომონის ასულს ქავთარაძისას, რომელმაც კეთილ ინება და დიდი დახმარება აღმომიჩინა წარმოდგენის გამართვაში 3 აგვისტოს დ. ლანჩხუთში სტუდენტ გრიგ. მახარაძის სასარგებლოთ. წარმოდგენიდან შემოვიდა სულ 100 მ. და 35 კ. ხარჯი იყო 21 მ. 40 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 78 მ. 95 კ. აქედან ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს გადაეცა 20 მ. დანარჩენი შემოწირულება კერძო პირთაგან: თ. ვახ. გურიელმა 9 მ., ორ-ორი მანეთი: იოსებ ძნელაძემ, ნ. მხეიძემ, ი. კანდელაკმა, ქ-ნ ქავთარაძისამ, ილ. ქავთარაძემ 1 მ. 25 კ; კარაპ. პაიაჯიანცმა 1 მ. 20 კ. და ვასილ ღუდუჩავამ 1 მ. სულ 21 მ. 5 კ. წარმოდგენიდან დარჩენილი 58 მ. 95 კ. და შემოწირულება 21 მ. 5 კ. სულ 80 მ. უკვე გადავეცი სტუდენტ მახარაძეს. დიდი მადლობის ღირსია ყველანი ვინც კი ამ საქმეს თანაუგრძნობდა და შემწეობას მაძლევდა. ღმერთმა ქმნას, რომ ისეთი თანამგრძნობი ადამიანი, როგორიც ბრძანდება ქ-ნი ქავთარაძისა კიდევ ბევრი გვყოლოდეს. დავგვიანებ სათვის ბოლოში ვიხდი საზოგადოებისადმი, მაგრამ ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო მომივიდა.

ავთანდილ კვიტაშვილი.

---

*) ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ბერიძე ჟუსტის წერილი „მგზავრის“ შენიშვნის შესახებ, რომლის შინაარსი სრულიად ამტკიცებს ბ-ნ. ს. კალანდაძის სიმართლეს და მგზავრის შენიშვნის უსამართლობას, დასძენს, რომ კალანდაძეს ეჭვი მიუღია ვითომ შენიშვნის ავტორი ბერიძე ჟუსტი იყოს, ამაზე კალანდაძეს კერძოთაც მიუმართავს ბერიძე ჟუსტისთვის. ვარწმუნებთ ბ. ს. კალანდაძეს, რომ ზემომოყვანილი შენიშვნა, „მგზავრის“ ფსევდონიმით, ბერიძე ჟუსტს არ ეკუთვნის.

რედ.

რედაქტორ გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყება ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა გადავიდა ახალ სადგურში ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა—პოსერბსკის სახლში, № 12. სწავლა დაიწყება 1-ს ენკენისთვეს.

ქალ-ვაჟთა სასწავლებელი

ელენე გახტაძისა

დ. ხონი.

გამართულია საკუთარ სახლში, ბაღის პირდაპირ. სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. წლიური გადასახადი 20 მან.

(3—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Августа 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41